პროლეტარეთო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 153 (11764)

კვირა

ერთიანი ბიბლიოთეკა

1960 წ.

ფასი 20 კაპ.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს დიდი სიხარულით ეგებებიან ვენის მცხოვრებლები. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ, თუ როგორ გულითადად ესაუბრება ნ. ს. ხრუშჩოვი ავსტრიის ერთ-ერთი დიდი საავტომობილო კარხნის მუშებს. სურათზე მარჯვნივ კი მოჩანს აღფრთოვანებული ვენელი მოკალაძეები, რომლებიც მიესალმებიან ავტომანქანით კუჩაში მიმავალ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ფოტო კ. ტოლსტიკოვისა და ვ. კოშევოისა.

დიდი შრომითი წარმატება

საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის
მდივანს ამხანაგ კ. გ. თვალაშვილს
ლენინგორის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ტ. ი. ტიგიევს
საქართველოს ალკკ ლენინგორის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ნ. მ. ბულგუთაშვილს
ლენინგორის რაიონის სოფლის მეურნეობის
ყველა მუშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 102 პროცენტით, კვერცხის გაყიდვის წლიური ვალდებულების 100 პროცენტით, რძის გაყიდვის ნახევარი წლის ვალდებულების 100 პროცენტით და მატყლისა — 157 პროცენტით შესრულებაში.

წარმატებანი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ სრულ რწმენას, რომ თქვენს მიერ 1960 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის
მდივანს ამხანაგ ვ. ზ. თოლხაძეს
მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ა. ნ. თოიძეს
საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის მდივანს
ამხანაგ რ. ა. დონაძეს
მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის
ყველა მუშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,4 პროცენტით, რძისა — 101,2 პროცენტით, კვერცხისა — 100,4 პროცენტით შესრულებაში, სახელმწიფოს მიეყიდა 2,0 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან.

წარმატებანი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ სრულ რწმენას, რომ თქვენს მიერ 1960 წელს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხორცის, რძის, კვერცხისა, და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ნაკისრი დიდი ვალდებულებანი წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის
მდივანს ამხანაგ ვ. ზ. თოლხაძეს
მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ა. ნ. თოიძეს
საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის მდივანს
ამხანაგ რ. ა. დონაძეს
მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის
ყველა მუშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,4 პროცენტით, რძისა — 101,2 პროცენტით, კვერცხისა — 100,4 პროცენტით შესრულებაში, სახელმწიფოს მიეყიდა 2,0 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან.

წარმატებანი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიური განმტკიცების, მოწინავე გამოცდილების, სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევების ბეჯითად დანერგვის შედეგად.

თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიმდინარე წელს იკისრეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, როგორც რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკის საფუძვლის, მეოთხეული გადიდების დიდი სოციალისტური ვალდებულებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ სრულ რწმენას, რომ თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები თავიანთი თავდადებული შრომით უმოკლეს ვადაში მიაღწევენ მეცხოველეობის სანიმუშო ორგანიზაციას, შრომის მაღალ ნაყოფიერებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის
მდივანს ამხანაგ ა. ს. გეჟაურს
თეთრი წყაროს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ი. გ. ჩომახაშვილს
საქართველოს ალკკ თეთრი წყაროს რაიკომის მდივანს
ამხანაგ ტ. ტ. კავილაძეს
თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის
ყველა მუშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 102,8 პროცენტით, კვერცხის გაყიდვის წლიური ვალდებულების 138,2 პროცენტით, რძის გაყიდვის ცხრა თვის გეგმის 103,5 პროცენტით და მატყლის გაყიდვის ნახევარი წლის გეგმის 104 პროცენტით შესრულებაში.

შესანიშნავი წარმატებანი, რომლებსაც თქვენ მიაღწიეთ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ სრულ რწმენას, რომ თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები თავიანთი თავდადებული შრომით 1960 წელს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხორცის, რძის, კვერცხისა, და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ნაკისრი დიდი ვალდებულებანი წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის
მდივანს ამხანაგ ა. ს. გეჟაურს
თეთრი წყაროს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ი. გ. ჩომახაშვილს
საქართველოს ალკკ თეთრი წყაროს რაიკომის მდივანს
ამხანაგ ტ. ტ. კავილაძეს
თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის
ყველა მუშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 102,8 პროცენტით, კვერცხის გაყიდვის წლიური ვალდებულების 138,2 პროცენტით, რძის გაყიდვის ცხრა თვის გეგმის 103,5 პროცენტით და მატყლის გაყიდვის ნახევარი წლის გეგმის 104 პროცენტით შესრულებაში.

შესანიშნავი წარმატებანი, რომლებსაც თქვენ მიაღწიეთ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ სრულ რწმენას, რომ თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები თავიანთი თავდადებული შრომით უმოკლეს ვადაში მიაღწევენ მეცხოველეობის სანიმუშო ორგანიზაციას, შრომის მაღალ ნაყოფიერებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

ავსტრიის პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენელთა წინაშე 1960 წლის 2 ივლისს

პატივცემულო ამხანაგებო! მეგობრებო!

თუმცა აქ, ავსტრიაში, ჩვენ უფრო ხშირად გვიხდება დამსწრეთ მივმართოთ — „ბატონებო“, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ამჯერად გითხრათ „ამხანაგებო“, როგორც ეს მიღებულია შრომის ადამიანთა შორის.

მინდა მადლობა გადავუხადო ავსტრიის პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელობას და მის პრეზიდენტს ამხანაგ ფრანც ოლას ამ შეხვედრის მოწყობისათვის.

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ თქვენ და ავსტრიის ყველა მშრომელს საბჭოთა ხალხის მხურვალე სალამი. ნება მიბოძეთ აგრეთვე გადმოგცეთ საბჭოთა პროფკავშირების სალამი; მეც ხომ პროფკავშირის წევრი ვარ და ვამაყობ ამით.

ჩვენი ქვეყნების მუშები დიდი ხანია დაკავშირებული არიან ერთმანეთთან პროლეტარული სოლიდარობით. ჯერ კიდევ რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის პერიოდში ვენის, ლინციასა და ავსტრიის სხვა ქალაქების მუშებმა მოაწყეს მიტინგები და დემონსტრაციები ცარიზმის წინააღმდეგ. ჩვენი ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ ადიბეჭდა 1934 წლის ფებერვლის ბრძოლების ისტორიული დღეები ავსტრიაში, როცა ვენის, ლინცის, გრაცისა და სხვა ქალაქების პროლეტარიატი იარაღით ხელში აღსდგა, რათა დაეცვა დემოკრატია და ხელი შეეშალა ფაშისტური რეჟიმის დამყარებისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენ კარგად იცით, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ იყო ავსტრიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დამცველი. საკმარისია გაიხსენოთ თქვენი ქვეყნისათვის ტრაგიკული 1938 წლის მარტის დღეები, როცა ჰიტლერმა ოკუპაცია უყო ავსტრიას. სსრ კავშირი იყო ერთადერთი დიდი სახელმწიფო, რომელმაც არ ცნო ავსტრიის ანშლუსი და გადაჭრით დაგმო გერმანელ მილიტარისტთა აგრესიული, დამპყრობლური მოქმედება.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა ადამიანები არ ზოგავდნენ თავიანთ სიცოცხლეს ჰიტლერულ ოკუპანტთაგან ევროპის ქვეყნების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1945 წლის გაზაფხულზე ათეულ ათასობით საბჭოთა ჯარისკაცმა და ოფიცერმა სიცოცხლე შესწირა ჰიტლერელთა ჯარებისაგან ავსტრიის ქალაქების განთავისუფლებისათვის. თქვენი მშვენიერი დედაქალაქის ვენის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ავსტრიელი ხალხი პატივს სცემს ამ გმირთა ხსოვნას — ჩვენ ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით. როცა ვნახეთ საბჭოთა მეომრების ყვავილებით დაფარული საფლავები.

ურთიერთობის გაფართოებას ჩვენს ხალხებს შორის. ავსტრიელ და საბჭოთა მუშებს შორის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე ხომ საერთო ამოცანებია დასახული. მათ საერთო ინტერესები და მიზნები აქვთ. რაც უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს, მით უფრო მალე შეიძლება მივაღწიოთ ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხის მრავალმილიონიანი არმიის მოქმედების ერთიანობას.

ჩვენ გვახარებს, რომ უკანასკნელ წლებში დამყარდა და წარმატებით ვითარდება მეგობრული კონტაქტები და კავშირი ჩვენი ქვეყნების პროფკავშირულ გაერთიანებებს შორის. შემიძლია დაგარწმუნოთ, ამხანაგებო, რომ საბჭოთა პროფკავშირები მოხარულნი იქნებიან, თუ ჩვენ გავაფართოებთ პროფკავშირული დელეგაციების ურთიერთ გაცვლას, გავაძლიერებთ ჩვენს კონტაქტებს, უფრო ხშირად შევხვდებით ერთმანეთს და განვიხილავთ ჩვენთვის ყველა საინტერესო პრობლემას.

ჩვენ გულახდილად და გულწრფელად ვაცხადებთ, რომ სრულიადაც არ ვაპირებთ თავს მოგახვიოთ კომუნისტური იდეოლოგია, თუმცა მიგვაჩნია, რომ კომუნიზმი ყველაზე სამართლიანი, ყველაზე უკეთესი საზოგადოებრივი წყობილებაა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ადრე თუ გვიან ყველა ადამიანი დედამიწაზე აუცილებლად დარწმუნდება კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობაში, შეიგნებს, რომ კომუნისტური წყობილება ყველაზე პროგრესული, ყველაზე ჰუმანურია. მხოლოდ ამ წყობილებას შეუძლია უზრუნველყოს ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

აქვე რომ ითქვას, ყოველ პატიოსან ადამიანს, რომელიც გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ცხოვრებასა და მშენებლობას სსრ კავშირში, არ შეუძლია არ გააკეთოს თავისთვის სრულიად გარკვეული დასკვნები. მაგონდება, მაგალითად, ოტო ბაუერის წიგნი „ორ მსოფლიო ომს შუა“, რომელიც 1936 წელს გამოვიდა. თქვენ იცით, რომ ოტო ბაუერი ბევრ რამეში არ გვეთანხმება ჩვენ, ცნობილია, რომ იგი რეფორმიზმის ერთ-ერთი ლიდერია, რისთვისაც იგი თავის დროზე არაერთხელ და სავსებით სამართლიანად გაუკრიტიკებია ვ. ი. ლენინს. მაგრამ ოტო ბაუერმა თავისი სიცოცხლის დასასრულს მოიპოვა გამბედაობა და ნებისყოფის ძალა პირდაპირ შეეხედა ფაქტებისათვის და სწორი შეფასება მიეცა მათთვის. ბაუერმა თავის წიგნში განაცხადა, რომ საბჭოთა სახელმწიფო. სარგებლობს ხალხის ფართო ფენების მხარდაჭერით, და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირი „სულ რამდენიმე წლის მანძილზე საქმით უჩვენებს მსოფლიოს ყველა ხალხს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ეკონომიურ, სოციალურ, კულტურულ უპირატესობას“. „საბჭოთა კავშირი. — წერდა ო. ბაუერი, — სოციალიზმის ძალების ყველაზე მძლავრი ცენტრია მთელ მსოფლიოში“, ფაშიზმის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში სსრ კავშირი მისცემდა „მძლავრ ბიძგს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლას“. ასეც მოხდა სინამდვილეში.

ნება მიბოძეთ ახლა, ამხანაგებო, მოკლედ ვთქვა საბჭოთა პროფკავშირებზე. ისინი აერთიანებენ დაახლოებით 55 მილიონ მშრომელს. ეს უდიდესი ძალაა. საბჭოთა პროფკავშირები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში. ჩვენი პროფკავშირები მართვის სკოლაა, მეურნეობის გაძღოლის სკოლაა, მოკლედ რომ ვთქვათ, კომუნიზმის სკოლაა.

პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები ებმებიან წარმოებისა და სახელმწიფოს მართვაში. ჩვენში პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დიდი უფლებები აქვთ. ისინი ისმენენ, მაგალითად, საწარმოთა ხელმძღვანელების მოხსენებებს საწარმოო გეგმებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შესახებ, მოითხოვენ ადმინისტრაციისაგან პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. პროფკავშირის თანხმობის მიუღებლად საწარმოს ადმინისტრაციას უფლება არა აქვს დააწესოს სატარიფო თანრიგები და გამომუშავების ნორმები.

საბჭოთა პროფკავშირები ახორციელებენ კონტროლს ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონების შესრულებისადმი, შრომის დაცვის ყველა წესებისა და ნორმების დაცვისადმი. პროფკავშირების სპეციალურ ტექნიკურ ინსპექტორებს უფლება აქვთ გასცენ შესაბამისი განკარგულებანი იქამდეც კი, რომ დროებით დაიხუროს უბანი, საამქრო და საწარმოც კი, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მუშაობის პირობები ემუქრება მუშის ჯანმრთელობას. ამასთან უნდა გითხრათ, რომ ცუდი დღე დაადგება დირექტორს, თუ იგი ყურადღებას არ მიაქცევს ამ ინსპექტორების მითითებებს!

პროფკავშირული კომიტეტის თანხმობის მიუღებლად არ შეიძლება დათხოვნილ იქნას არც ერთი მუშა ან მოსამსახურე; ხოლო როცა საქმე ეხება ამა თუ იმ მუშაკის დანაშაულს ხელმძღვანელ საშეურნეო თანამდებობაზე საწარმოში, ადმინისტრაცია ითვალისწინებს აგრეთვე პროფკავშირული კომიტეტის აზრს.

დიდია ჩვენი პროფკავშირების როლი სოციალური დაზღვევის დარგში. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დაზღვევა ჩვენში ვრცელდება უკლებლივ ყველა მუშასა და მოსამსახურეზე და ხორციელდება მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე, ესე იგი მშრომელებს არაფერი არ ექვითებათ. ამასთან ზოგუცებულობის პენსია მამაკაცს ეძლევა 60 წლის შესრულების, ხოლო ქალს — 55 წლის შესრულების შემდეგ, იმ პირთათვის კი, რომლებიც დასაქმებული არიან მძიმე სამუშაოებზე, ეს ასაკობრივი ზღვარი ვნიშვნელოვნად შემცირებულია. პოფესიიული კავშირები მთლიანად განაგებენ კოლოსალურ სახსრებს, რომლებიც სოციალურ დაზღვევას ეძლევა. მარტო წელს ამ მიზნებისათვის დაიხარჯება 70 მილიარდი მანეთი.

ჩვენს საწარმოებში შექმნილია სპეციალური მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, რომლებსაც ირჩევენ საწარმოთა კოლექტივების საერთო კრებები. თათბირებზე განიხილავენ საწარმოს საქმიანობის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს — შრომის ორგანიზაციის, ხელფასის, დანორმვის, ახალი ტექნიკის, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის და ბევრ სხვა საკითხებს.

როგორც ხედავთ, თითონ მუშები უშუალო ზეგავლენას ახდენენ ჩვენს ქვეყანაში საწარმოს მთელ ცხოვრებაზე, გავლენას ახდენენ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საწარმოო საკითხების გადაჭრაზე. ამით თვალსაჩინოდ იჩენს თავს ჩვენი პარტიის ლენინური ხაზი — თანდათანობით გადაეცეს პროფკავშირებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახელმწიფოს სულ უფრო დიდმნიშვნელოვანი ფუნქციები. უნდა დავძინო, რომ ჩვენში პროფკავშირთა გამგეობლობაში გადაეცემულია აგრეთვე მრავალი კურორტი, სადაც მშრომელები ისვენებენ. პროფკავშირები განაგებენ ბავშვთა დასვენებას, ხალხის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებს, ტურიზმს. პროფკავშირებმა იკისრეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი მას შემდეგ, რაც ლიკვიდირებულ იქნა სრულიად საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დასავლეთში ზოგჯერ ამბობენ: ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ საბჭოთა პროფკავშირები არ აწყობენ გაფიცვებს, მაშასადამე ისინი, ვითომდა, ჯეროვნად ვერ იცავენ მუშათა ინტერესებს. მაგრამ ამ გაცხადებებში ყველაფერი ყირამალაა დაყენებული.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში პროფკავშირთა საქმიანობა მიმდინარეობს მწვავე წინააღმდეგობათა პირობებში კაპიტალისტებსა და მუშებს შორის. იქ მუშებს შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთ უფლებებს სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემოკლების, ხელფასის გადიდების, დაზღვევისა და სხვა დარგებში მხოლოდ ბრძოლით, გაფიცვების გზით. და რაც უფრო უკეთ არის ორგანიზებული პროფკავშირი, რაც უფრო უკეთ არიან ორგანიზებულნი და შეკავშირებულნი მუშები, რაც უფრო უკეთ არიან ისინი მომზადებულნი იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში თავიანთი უფლებები დაიცვან გაფიცვის გზით. მით უფრო მეტს მიაღწევენ ისინი. სულ სხვა მდგომარეობაა სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არ არის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი კლასებს შორის, სადაც მშრომელები თავიანთი ქვეყნის პატრონები არიან. სადაც ისინი მართავენ სახელმწიფოს.

ამიტომ მუშები თავის თავს ხომ არ გამოუცხადებენ გაფიცვას. თქვენში ხომ გლეხი, მაგალითად, რომელიც თავისთვის მუშაობს, არ აცხადებს გაფიცვას. ასე ჩვენშიც მუშები არ უცხადებენ თავის თავს გაფიცვას, როცა ყველა ფაბრიკა, ქარხანა, მიწა და ყველაფერი, რაც მიწაზეა, ეკუთვნის მშრომელ ხალხს. ჩვენი მთავრობა მშრომელი ხალხის ნების გამომხატველი, მუშათა კლასის ნების გამომხატველია.

რისთვის უნდა გაიფიცონ ჩვენი მშრომელები, თუ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრო-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

დეპეშების გაცვლა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 29 ივნისს ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ აბდელ ქერიმ ყასემს ახალი წლის გამო გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მიულოცა და წარმატება და აყვავება უსურვა მეგობარ თავისუფლებისმოყვარე ერაყელ ხალხს, რომელმაც კეთილშობილური მამაცობა და თავდადება გამოიჩინა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

საპასუხო დეპეშაში აბდელ ქერიმ ყასემმა დიდი მადლობა გადაიხადა მილოცვისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირსა და ერაყს შორის არსებული თანამშრომლობის კავშირი და კეთილი ურთიერთობა, რაც ორ მეგობარ ხალხს შორის დამყარდა, მომავალშიც განმტკიცდება და აყვავდება.

ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ერაყის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარეს ნაჯიბ არ-რაბიის. საპასუხო დეპეშაში ნაჯიბ არ-რაბიამ მადლობა გამოთქვა მილოცვისათვის.

(საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

ბა სავსებით უჭვერენ მხარს პროფესიულ კავშირებს მათ საქმიანობაში, თანამიმდევრულად იცავენ მათ ინტერესებს, თუ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია თვით თავისი არსით წინასწარ განსაზღვრავს ხალხის უფართოესი მასების მონაწილეობას სახელმწიფოს, ქარხნებისა და ფაბრიკების — მთელი სახალხო მეურნეობის მართვაში.

ნება მიბოძეთ მოგკითხავ შეკითხვა, ამხანაგებო. სჭირდება თუ არა მშრომელ ადამიანს მონაწილეობა მიიღოს გაფიცვაში, თუ ხელისუფლება ყოველი მშრომელისათვის, უზრუნველყოფს სამუშაოს, სამუშაო სკოლაში, მრავალ უნივერსიტეტსა და საინჟინერო ინსტიტუტებში უფასო განათლების უფლებას, მათ შორის წარმოებას მოუწყვეტლივ, შრომისა და სწავლის შეთავსებით? ამასთან საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია ვალდებულია სპეციალური შვებულება მისცეს დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს გამოცდების ჩასაბარებლად.

განა იფიქრებს მშრომელი ადამიანი გაფიცვაზე, თუ მას აქვს უფასო სამედიცინო მომსახურების, შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში საკავადმყოფო ფურცლის ანაზღაურების უფლება, თუ საბჭოთა მშრომელი ადამიანებისათვის შენდება მილიონობით ახალი ბინა! საკმარისია ითქვას, რომ მარტო შეიღწულებში ჩვენს ქალაქებში აშენდება 15 მილიონი ბინა და რომ მუშა კაცს ჩვენს ქვეყანაში აუტანელ ტვირთად როდი აწევს ბინის ქირა, იმიტომ რომ ეს ქირა ოჯახის ბიუჯეტის 4-5 პროცენტს შეადგენს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ სესიაზე მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშრომელებს მიაჩნიათ თავიანთ ახალ სოციალურ მიღწევად: მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმებისა და 1960 წლის დამლევს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე, ხოლო 1964 წლის დამლევისათვის 6 და 5 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ. ამავე დროს, მძიმე მრეწველობის დარგების მილიონობით მშრომელი უკვე ახლა მუშაობს 6 საათს დღეში. ამასთან ხაზი უნდა გაესვას, რომ სამუშაო დღის შემოკლება და გადასახადების გაუქმება ხდება ხელფასის შეუმცირებლად, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ხელფასი დიდდება. უმაღლესი საბჭოს იმავე სესიაზე გადაწყდა გეგმის დამატებით გამოიყოს 25-30 მილიარდი მანეთი სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობის განვითარებისათვის.

მაშასადამე, რომ არსებობდეს, რომ შეიძლებოდეს არსებობდეს კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც ამდენსავეს გააკეთებდა მუშა ადამიანებისათვის, ყველა მშრომელი ადამიანისათვის, განა მუშები, შრომის ადამიანები გაიფიცებოდნენ?

მე, წარსულში რუს მუშას, არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა გაფიცვებში. მე ვიცი, თუ რა მძიმე საქმეა ეს, როგორ იტანჯებიან ადამიანები, რომლებიც იძულებული არიან კვირაობით და თვეობით იშიმშილონ, არ მიიღონ ხელფასი. ჩვენ კარდინალური გზით გადავჭერით გაფიცვების საკითხი: მოვახდინეთ წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაცია, და ახლა წარმოების ეს საშუალებანი მთელი ხალხის კუთვნილებაა. თვითონ ხალხი და მხოლოდ ხალხია ჩვენში თავისი ქვეყნის პატრონი. იქნებ თქვენთვის ახლა უფრო ნათელი გახდეს, თუ რატომ არ ფიქრობენ საბჭოთა მშრომელები, თუმცა მათ გაფიცვის იურიდიული უფლება აქვთ, მიმართონ მას, რატომ არ აწყობენ გაფიცვებს.

პატივცემულო ამხანაგებო! ამ აუდიტორიაში, რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომლებიც არ ეთანხმებიან ჩვენს შეხედულებებს ბევრ საკითხზე. მაგრამ არის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ერთნაირად აღელვებს ყველას. მე მხედველობაში მაქვს ომის საკრძალველ საკითხი და მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საჭიროების საკითხი.

საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა, დაუცხრომლად ახორციელებდა და ახორციელებს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. ამის მკაფიო მაგალითია ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა, რასაც საფუძველად უდევს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, უარის თქმა საშინაო საქმეებში ჩარევაზე, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

1955 წლის მაისში ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერა უეჭველად დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში და საჭირო საფუძველი შექმნა დამოუკიდებელი ავსტრიის სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარებისათვის. ნეიტრალიტეტის პოლიტიკა საშუალებას აძლევს ავსტრიას განზე იდგეს სამხედრო ბლოკებისაგან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ავსტრიელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის, რადგან მან ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც უარყოფენ ავსტრიის დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობას.

ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შემდეგ დასავლეთის რეაქციულ წრეებს გაუძნელდათ აშკარად დაეყენებინათ აგრესიულ ბლოკებში ავსტრიის ჩაბმის საკითხი. მით უმეტეს, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას მხარი დაუჭირეს ავსტრიის მოსახლეობის ფართო მასებმა. ამიტომ გაჩნდა ავსტრიის ჩაბმის გეგმები ისეთ ორგანიზაციაში, როგორიც არის „საერთო ბაზარი“, რომელშიც შედის ნატოს წევრი ექვსი ქვეყანა და რომელშიც უპირატეს როლს ასრულებს დასავლეთი გერმანია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლეთ გერმანიის გარკვეულ წრეებს „საერთო ბაზარი“ მიაჩნიათ ნატოს დანამატად ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. ისინი არ მალავენ ამ გაერთიანების პოლიტიკურ ხასიათს.

ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ავსტრიის მთავრობამ და მისმა ხელმძღვანელებმა—კანცლერმა რაბბმა და ვიცე-კანცლერმა პიტერმანმა გამოიჩინეს ავსტრიის ეროვნული ინტერესების ერთგული ინტერესებს გაგება, როცა მათ სამართლიანად მიიჩნიეს, რომ „საერთო ბაზრისადმი“ მიმხრობა მისი ეკონომიური დამოუკიდებლობის შეზღუდვის მომასწავებელი იქნებოდა და რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა ავსტრიის ნეიტრალიტეტს.

დასასრულ ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გისურვოთ უაღრესად დიდი წარმატებანი თქვენს მოღვაწეობაში, ვისურვო ჩვენი ქვეყნების პროფკავშირული ორგანიზაციების ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა ჩვენი მუშური ლოზუნგი: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის ლოზუნგი: გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

ი. რაბბმა საუზმე გამართა ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

ვენა, 1 ივლისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** ფედერალურმა კანცლერმა ი. რაბბმა დღეს საუზმე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად, რომელიც ავსტრიაში იმყოფება სახელმწიფო ვიზიტით. ავსტრიის მხრივ საუზმეზე იყვნენ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ა. შერფი, ვიცე-კანცლერი ბ. პიტერმანი და სხვა ოფიციალური პირები. საბჭოთა მხრივ იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა და ნ. ს. ხრუშჩოვის სხვა თანმხლები პირები და მრჩეველები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ვ. ი. ავილოვი.

საუზმის დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ფედერალურმა კანცლერმა ი. რაბბმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ვენა, 2 ივლისი. (საკდესი). დღეს შუადღემდე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ეცნობოდნენ ავსტრიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

ვენის სხვადასხვა რაიონში წასვლის წინ ნ. ს. ხრუშჩოვი მიეგება ჰოფბურგის სასახლეში, სადაც ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ისტორიული დოკუმენტების გამოფენა, რომლებიც მოგვითხრობენ ორივე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაზე.

საუკეთო დარბაზში, რომელიც კედლების გასწვრივ სავსეა ძველებური წიგნებითა და ხელნაწერებით, 56 სტენდზე გადაშლილია ისტორიული დოკუმენტების დედნები, დათარიღებული 1489 წლიდან 1960 წლის 30 ივნისამდე — ივანე III მიერ ავსტრიის ელჩის ნ. პოპელის მიღების შესახებ რუსული ჩანაწერიდან ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამდე ვენის შეეპატიჟ ინოდრომზე ჩამოსვლის დროს.

დროთა განმავლობაში გაყვითლებულ ხელნაწერებს შორის არის სიგელები და ოფიციალური დოკუმენტები, სამოკავშირეო ხელშეკრულებანი რუსეთსა და ავსტრიას შორის, შეთანხმება ოტომანთა იმპერიის ელჩსპანსიის წინააღმდეგ ერთობლივი თავდაცვის შესახებ, მოხსენება პოლტავასთან პეტრე I გამარჯვების შესახებ, სუვოროვისა და კუტუზოვის ბრძანებები, დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ ავსტრიის რესპუბლიკისა და საბჭოთა რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარების შესახებ, წერილები, რომლებიც გაუცვლიათ ავსტრიული და რუსული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს.

გახსნა რა დოკუმენტების გამოფენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ფედერალურმა კანცლერმა ი. რაბბმა წარმოთქვა სიტყვა.

შემდეგი სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ფედერალური კანცლერის ი. რაბბისა და სხვა ოფიციალური პირების თანხლებით დათვალიერა გამოფენის ექსპონატები. ახსნა-განმარტებას აძლევდა ავსტრიის სახელმწიფო არქივის გენერალური დირექტორი დოქტორი რატი.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ავტომობილით წაიყვანენ სათემო საჭლების უბნისაკენ, რომლებსაც განსაკუთრებული ინტერესი აღძრავს. პატივსაცემად ეწოდება „დოქტორ ტეოდორ კერნერ-პოფი“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა სპეციალური ავტობუსით გაიარა ავსტრიის დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები, დათვალიერა საცხოვრებელი სახლების უბნები. სტუმრებმა დათვალიერეს შვეიცარ-პტენდის საბავშვო ბაღიც.

მანქანები მიდის ვენის წყალსამკურნალო „ტერეზიენ-ბადისაკენ“, რომელიც ცნობილია თავისი გოგირდის წყაროებით. ეს არის ნათელი, ორსართულიანი ნაგებობა ბეტონისა და მინისაგან, რომელიც აშენდა 1952-1955 წლებში მეორე მსოფლიო ომის დროს დანგრეული ძველი შენობის ადგილას.

მოგზაურნი წყალსამკურნალოს ახლოს ნ. ს. ხრუშჩოვს მქონარე ტანით და „ვალეს“ შიძახებით შეხვდნენ წყალსამკურნალოს ადმინისტრაციის მოხაკები და მომსვლელები. ნ. ს. ხრუშჩოვს სამახსოვროდ უძღვნეს ბროშურა წყალსამკურნალოს შესახებ.

როცა საბჭოთა სტუმრებმა დათვალიერების შემდეგ დატოვეს წყალსამკურნალო, მოედინნენ კვლავ გაისმა მქუხარე ტაში და მისალმების შეძახილები.

უფრო გვიან ნ. ს. ხრუშჩოვი იყო „ჰეგო ბრიუნერ-პოფის“ საცხოვრებელ უბანში, რომელიც მდებარეობს ვენის დასაფლეთ განაპირა მხარეს. იგი აშენდა 1949-1954 წლებში. ეს არის ყოველგვარ მორთულობას მოკლებული ძირითადად სამსართულიანი საცხოვრებელი სახლების განსაკუთრებული კომპლექსი. სახლობს შორის მწვანე კუნძულებად გაშენებულია ბაღები.

ნ. ს. ხრუშჩოვის მისვლამდე დიდი ხნით ადრე მცხოვრებლები ქუჩებში გამოვიდნენ. [illegible] საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ალ[illegible] [illegible] ეიარა საცხოვრებელი უბნის ქუჩებში, იგი გამოელაპარაკა პენსიონერ ანა ბარტოსეკს, რომელიც ბაზში შეიდა, ხოლო შემდეგ იგი პენსიონერ ოთილ შაფერის ბინაში. „ჰეგო ბრიუნერ-პოფის“ ახალი საცხოვრებელი უბნის მცხოვრებლები გულთბილად მიეგებნენ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს.

ქალაქში მოგზაურობის ბოლოს ნ. ს. ხრუშჩოვი მივიდა ვენის რატუშის შენობაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობის მეთაურს წარუდგინეს ქალაქის სენატის წევრები, ბურგომისტრმა ფრანც ნიბსამა სიტყვით მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნიკიტა სერგის-ძემ. იგი ამბობს, რომ საბჭოთა სტუმრები მოხარული არიან, რომ შესაძლებლობა მიეცათ ეიმახათ ვენა, სადაც ჩანს დიდი ცვლილებები 1946 წელთან შედარებით. როცა იგი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, პირველად იყო ავსტრიის დედაქალაქში.

მინდა მოგვილოცოთ მიღწეულ წარმატებათა გამო, ამბობს იგი, და მინდა აგრეთვე გისურვოთ, რომ ხალხი ცხოვრობდეს მშვიდობით და მეგობრობით. თქვენ ბევრი რამის გაკეთება მოსაწყვრით. და ეს სასარგებლო შრომაა. ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა მეუღლემ ნინო პეტრეს ასულმა ხელი მოაწერეს „ქალაქ ვენის ოქროს წიგნში“.

ბურგომისტრმა იოსასმა ნ. ს. ხრუშჩოვს უძღვნა თაიფურის ფიგურა „ლიპიცანერის“ ჯიშის ცხენისა ვენის სახელგანთქმული უმაღლესი საჯირითო სკოლიდან. ნინო პეტრეს ასულს ყვავილები მიართვეს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მხრივ ბურგომისტრს აჩუქა ყუთი ურალის ფერადი ქვებისაგან და ალბომი ფერადი რეპროდუქციებით საბჭოთა კავშირის ცხოვრების შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ეცნობა ვენის ღირსშესანიშნაობებს

ბიბლიოთეკა

დარბაზობა შენბრუნის სასახლეში

ვენა, 2 ივლისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ფედერალურმა კანცლერმა ი. რაბბმა ავსტრიის მთავრობის სახელით ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის გამო დიდი დარბაზობა გამართა შენბრუნის სასახლეში. საპატიო სტუმრის პატივსაცემად სასახლის პარკში ილუმინებული იყო გლორიეტის სატრიუმფო თაღი, საპატიო სტუმრის სასახლის შესასვლელთან შეხვდნენ ფედერალური კანცლერი ი. რაბბი და ვიცე-კანცლერი ბ. პიტერმანი. შემდეგ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. შერფის თანდასწრებით ნ. ს. ხრუშჩოვს წარუდგინეს ვენის დიპლომატიური კორპუსი—საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომელნიც აკრედიტებული არიან ვენაში. მრავალ საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ავსტრიის მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები, ავსტრიის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები. ისინი გულითად ვითარებაში ესაუბრნენ საბჭოთა მინისტრებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომელნიც ავსტრიაში ჩამოვიდნენ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად. მრგვალ მაგიდას მთავარ დარბაზში უსხედან ნ. ს. ხრუშჩოვი, დოქტორი ა. შერფი, ნ. ს. ხრუშჩოვის მეუღლე და ქალიშვილი, პრეზიდენტ ა. შერფის ქალიშვილი, ე. ა. ფურცევა, ი. რაბბი, ბ. პიტერმანი.

ნ. ს. ხრუშჩოვის საერთო დარბაზში გამოჩენას ტაშით შეხვდა ყველა სტუმარი. პრესის წარმოადგენლები გარს შემოერტყნენ ნ. ს. ხრუშჩოვს და უნდოდათ უთუოდ გადაეღოთ მისი ფოტოსურათი ან მიეღოთ პასუხი თავიანთ კითხვებზე. ნ. ს. ხრუშჩოვი ხალისით ესაუბრებოდა სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ ავსტრიელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, რომელნიც ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში ყოფილან. იგი ესაუბრა მათ, ეხუმრა და გაუზიარა შთაბეჭდილებანი ვენის შესახებ, რომელიც გუშინ დილით უფრო ახლო გაიცნო.

ტურისტის ჩანაწერები

★

ინტერესით ვაკვირდებით უზარმაზარ ლამაზ შენობას, რომელიც მდიდრულ პარკშია ჩაფლული.

ახალგაზრდობის სასტუმრო, სადაც ჩვენ გავჩერდით, ქალაქის სამხრეთ რაიონშია მოთავსებული. იგი მოდერნისტულ სტილშია აგებული, იადგილამანი, მაგრამ გამძლე და ლამაზი მასალით გაწყობილი. ეზო ხასხასა მწვანე ბალახითაა დაფარული და ცენტრალ ვენის ტყეს ესაზღვრება. ეზოს შუაში დადგმულია რკინის მოზრდილი უცნაური ხელსაწყო. იგი რაღაც ელექტროდანადგარს გავს და შიშით ახლოს ვერ ეკარებიან. მაგრამ შემდეგ სასტუმროს თანამშრომელი გვიხსნის, რომ ეს არის აბსტრაქტული ქანდაკება, რომელიც ათასობით შილინგი დაუჯდა და ეწოდება... „სიმშვიდე“.

ამგვარი „ქანდაკებანი“ კიდევ რამოდენიმე ვნახეთ ავსტრიაში. ხოლო იმ რაიონში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, შეგვხვდა რამდენიმე სხვა სახის „მხატვრობაც“. ახალი აგებული ოთხ-ხუთ სართულიანი სახლების კედლები ფერადი ნახატებითაა აჭრელებული. სტენდები უმთავრესად რელიგიურ სიუჟეტებზეა აგებული — წმინდანების ცხოვრებიდან და შესრულებულია მოდერნისტულ სტილში — მკვეთრი, სწორი ხაზები, კონტრასტული ფერები...

ვენის სახლების უმრავლესობა ძველებურია, ბაროკოს სტილში აშენებული და საერთოდ ქალაქი „ცისფერ დუნაზე“ მეტად ლამაზი, მხიარული და თან მშვიდია.

ჩვენ ვიგრძენით, რომ საუკეთესო დროს ჩამოვედით ავსტრიაში. ივნისი ვარდობის თვეა ევროპაში. ვარდები ყველგან ყვავიან, ყოველ ნაბიჯზე: ოჯახში, სასტუმროში, ბაღში და ავტობუსშიც კი. ამას თან დაერთო ფესტივალი, რომელიც ყოველ წელს ეწყობა ხოლმე. და რაც მთავარია, მთელ ქალაქში ეკრძნობოდა, რომ მოელოდნენ ძვირფას სტუმარს.

— ჩვენთან სტუმრად მოვა ბატონი ხრუშჩოვი, — სიამაყით გაგვიცხადა ექსკურსიის გამყოლმა, როდესაც ჩვენ ქალაქს, რატუშს ეთვალიერებდით. ეს ბრწყინვალე სახლია, მდიდრულად, ძველებურად მორთული. მასში ათას ორმოცი ოთახია, რომელშიც სამი ათასი კაცი მუშაობს. საერთო შენობის ფართობი ოცი ათასი კვადრატული მეტრია. ომის დროს შენობის ნაწილი ინგლეს-ამერიკის ავიაციამ დაანგრია (ასევე დაინგრა ქალაქის ოპერის თეატრის შენობა და სხვა ხუთიათასი შენობა ვენაში), მაგრამ ღღეს იგი აღდგენილია.

ომის საშინელება საკმაო სიმწარეთი ეგრძნო ავსტრიელ. ამიტომ არის, რომ ავსტრიელი ხალხი ასე აფასებს მშვიდობას. ასე დიდ პატივს სცემს იმ ქვეყანას, რომელიც საომარში უდგას ამ საკეთილო საქმეს. საბჭოთა ქვეყნისადმი პატივისცემას ჩვენ ვგრძნობდით ყველგან, ვგრძნობდით თითქმის ყველა ავსტრიელისაგან. ვინც კი შეგვხვდა ამ ოთხმეტი დღის განმავლობაში.

ამ ხალხს ჩვენ პირველად ვხვდებოდით, მაგრამ ვხვდებოდით, როგორც მეგობრები, ახლობლები, რადგან ვიცოდით, რომ ყველაფერი ეს აშტკიცებდა და ხელს უწყობდა მშვიდობის საქმეს. ვენაში ძველი მეგობრებიც ვნახეთ. ერთ-ერთი მათგანი იყო ქართული კულტურის მოამაგე და დამფასებელი ჰუგო ჰუპერტი. იგი სასტუმროში გვეწვია თავისი მეუღლით, გვესაუბრა გულთბილად, მოიგონა და მოკითხვა დაგვიბარა ბევრ ქართველ მწერალთან.

ჰ. ჰუბერტი მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს. გარდა იმისა, რომ მან თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, და გერმანელებს და ავსტრიელებს აცნობს თანამედროვე ქართველ მწერლებსაც, ამასთან მოგზაურობს მთელ ავსტრიაში და ლექციებს კითხულობს საქართველოს შესახებ.

ჩვენს ტურისტულ გეგმაში შედიოდა ავსტრიის ლამაზი საკურორტო ქალაქის ზალცბურგის ნახვა და ამიტომ ჩვენ თითქმის მთელი სახელმწიფო გადავკვეთეთ და ჩავედით მოცარტის სამშობლოში.

ზალცბურგი პატარა ქალაქია, აქ სულ ასათი ათასი მცხოვრებია, მაგრამ ავსტრიელები მას ევროპის კულტურის ცენტრად და ტურისტების ქალაქად თვლიან, კულტურის ცენტრის რა მოგახსენოთ, მაგრამ თავისი დიდი ტრადიციები ამ ქალაქს ეფცილებლად აქვს. აქ ეწყობა ხოლმე მუსიკალური ფესტივალები, კონცერტები გამოჩენილ შემსრულებელთა მონაწილეობით. ყველა კომპოზიტორი, მუსიკოსი, რომელიც კი ჩადის ავსტრიაში, თავის მოვალეობად თვლის ზალცბურგში ჩასვლას და მოცარტის სახლის დათვალიერებას.

მოცარტის ოჯახის სახლი მუზეუმადაა გადაკეთებული. ვიწრო დახეული კიბეებს აყვავხართ თეთრად შეფთქილ, დიდ ოთახებში, რომელიც დაბალი ჭერითაა თავდახურული. კედლებზე მოცარტისა და მისი ახლობლების სურათებია ჩამოკიდებული. ჩვენ ეწახეთ მოცარტის პატარა ვიოლინო, რომლითაც იგი ბავშვობისას უკრავდა, მეორე ოთახში მოთავსებულია საკონცერტო ვიოლინო. მოცარტის ინსტრუმენტზე ერთხელ დაკვრის უფლება აქვს მხოლოდ აღიარებულ და სუფეკეთესო დამკვრელს. ჩვენ გვითხრეს, რომ მოცარტის ვიოლინოზე დაუკრა დავით ოისტრახმ.

ზალცბურგში უამრავი უცხოელი ტურისტია. სანახავი კი აქ ბევრია. ამ პატარა ქალაქში ოცდათექვსმეტი ეკლესია და მონასტერია, რომლებსაც მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვთ. ქალაქს გარს არტყია მთები, ზოგან შენობებს პიტალო ალდევენ ამოკვეთილთ და თავს დასცქერიან. ეს ალდეები ბუნებრივად საოცრად არის ჩამოთლილი და გარანდული. დამით მათ ანათებენ და ამით ქალაქს სილამაზეს და ზღაპრული ელფი ემატება.

ჩვენ ინტერესით დავათვალიერეთ არხიეპისკოპოსების გასართობი სასახლე, ულამაზესი ხელბრუნი. სასახლეში უამრავი მხიარული გასართობია და ყველა ისინი წყლისაგან მოდიან მოძრაობაში. ხელბრუნში მრავალი მნახველი იყო და ყოველ ნაბიჯზე ისმოდა სიცილ-ხარხარი და მხიარული შეძახილები. საინტერესოა მექანიკური თეატრი, რომელშიც ასკამეტი ფიგურაა და ისინი წყლის ენერგიით მოძრაობენ.

ზალცბურგში იმვიათად შეხვდებით ახალ შენობას. იგი ხელშეუხებ მუზეუმად გავს, თუმცა ახლა იქ აშენებენ უზარმაზარ საფესტივალო დარბაზს, რომელიც ივლისში უნდა გაიხსნას.

ეს დარბაზი სამშენებლო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის ნიმუშია. იგი განკუთვნილია ორიათას ასი კაცისათვის, მაგრამ ღილაკზე თითის დაჭერით ადგილების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ორიათას სამას ათამდე. ქრება ორკესტრანტების „ორმო“ და მის ადგილას ჩნდება ორას ათი სკამი.

სასტუმრო, სადაც ჩვენ მოგვათავსეს, ეკუთვნოდა მეტად სიმპატიურ ხანში შესულ ცოლ-ქმარს. სასტუმრო იყო ძალზე პატარა, ძველებური, მაგრამ მეტად მოხერხებული, წყნარი და სასიამოვნო. საღამოობით სასტუმროს პატარა ბარში თავს იყრიდნენ უბრალო პროფესიის ადამიანები და ჩვენ მათთან ერთად ვერთობოდით, ვცეკვავდით, ვმღეროდით ქართულ სიმღერებს და ზრაპუს მელოდიებს. სასტუმროს მეპატრონე გულუხვად გვიმასპინძლებდა ავსტრიული ღვინით, მისი მეუღლე კი სულგანაბული უსმენდა ხოლმე „სულიკოს“, ყველა, ვინც გვხვდებოდა ამ პატარა ქეიფზე, დიდი სიმპათიით და სიყვარულით გვეკითხოდა. ამიტომ იყო, რომ ჩვენი წასვლისას მთელი სასტუმრო გვაცილებდა სიყვარულით და სასტუმროს დისახლისი და მომტანები ცრემლებს ვერ მალავდნენ.

ცრემლებს ვერ მალავდნენ ავსტრიელები, გერმანელები, იტალიელები, რუსები, ქართველები, როდესაც მდუმარედ დავამიჯდებოდით დაცარიელებულ შენობებში, სადაც ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკი იყო მოთავსებული. ეს ბანაკი მდებარეობს დაბა მაუტჰაუზენში, ქალაქ ლინციდან ორმოცეოდე კილომეტრის მაშორებით. აქ, ფაშისტების წაბეთით დაიღუპა ათიათასობით თავისუფლების მოყვარული ადამიანები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან. ჩვენ აღშფოთებულები და აღელვებულები ვათვალიერებდით ბანაკს. აქ კიდევ ერთხელ ვიგრძენით ომის საშინელება, ეგრძენით მშვიდობის ძალა და ფასი.

ზ ანაკიდან ვბრუნდებოდით ამწვანებული გზით, გზადაგზა ბორცვებზე, ფერდობებზე, გზის პირას გვხვდებოდა თეთრად დაწერილი სიტყვები: „ნუღარასოდეს ნუ იქნება საკონცენტრაციო ბანაკები“. ეს იყო სიტყვები, რომელიც თვითეულ ჩვენთაგანს იმ წუთში გონებაში უტრიალებდა. ეს არის აზრი, რომელიც ამოძრავებს მშვიდობისმოყვარე ხალხებს, ეს აზრი ამოძრავებს ყველა პატიოსან ავსტრიელს და ამიტომ არის, რომ დღეს ისინი ოტტაციებითა და ტაშით ეგებებიან იმ ქვეყნის ხელმძღვანელს, რომელიც მსოფლიოში სიკეთისა და სიმშვიდის ბურჯია.

გ. გომართელი,
ავსტრია. ივნისი.



სურათებზე: მარცხნივ — ზალცბურგი. ხელბრუნის სასახლე; მარჯვნივ — ვენა. ქალაქის ცენტრი.

ფოტო ავტორისა.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ავსტრიის პროფკავშირთა ლიდერებს

ვენა, 2 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ვ. შუმსკი გადმოგვცემს: დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ავსტრიაში იმყოფება სახელმწიფო ვიზიტით, ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების ხელმძღვანელობის მიწვევით შეხვდა ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების გაფართოებული გამგეობის წევრებს, აგრეთვე ავსტრიის დარგობრივი პროფკავშირების ხელმძღვანელებს, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვს წარუდგინა ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ ფ. ოლამ.

შეხვედრაზე გამოვიდა ფ. ოლა, რომელიც მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს ავსტრიის პროფკავშირების სახელით. გამოთქვა რა კმაყოფილება ავსტრიაში ნ. ს. ხრუშჩოვის ეწვევის გამო, ოლამ თქვა, რომ ამ შეხვედრას აფასებენ როგორც ავსტრიის პროფკავშირებისადმი ყურადღების გამოვლენებს.

ოლამ აღნიშნა საბჭოთა მთავრობის მეთაურის დიდი წვლილი ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების საქმეში. ამასთან დაკავშირებით ავსტრიის პროფკავშირების ლიდერმა გაიხსენა ავსტრიელი ხალხის უდიდესი მსხვერპლი ფაშიზმის დროს. ფაშისტი ჯალათების ხელით, როგორც ოლამ თქვა, მრავალი ათასი ავსტრიელი დაიღუპა.

ოლამ მხარი დაუჭირა მშვიდობიან თანაარსებობას, მშვიდობიან შეჯიბრებას ყველა დარგში და დასასრულ ყოველგვარი წარმატება ესურვა პირადად ნ. ს. ხრუშჩოვსა და მთელ საბჭოთა ხალხს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას მჭეხარე ტაშით შეხვდნენ.

ფ. ოლამ მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს გამოსვლისათვის, საშინაო და საგარეოპოლიტიკურ საკითხებში საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის განმარტებისათვის და თქვა, მსურს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები გავრცელდეს აგრეთვე ყოველ ცალკე ქვეყანაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთობაზეც.

ამაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა დამსწრეთა მოწონების შეძახილებში თქვა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერდით და ვუჭერთ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების მტკიცედ დაცვას, მაგრამ ჩვენ აგრეთვე მხარს ვუჭერთ კლასობრივ ბრძოლას იმ ქვეყნებში, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ეცნობა ვენის ღირსშესანიშნაობებს

ბიბლიოთეკა

ი. რაბბმა საუზმე გამართა ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

ვენა, 1 ივლისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** ფედერალურმა კანცლერმა ი. რაბბმა დღეს საუზმე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად, რომელიც ავსტრიაში იმყოფება სახელმწიფო ვიზიტით. ავსტრიის მხრივ საუზმეზე იყვნენ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ა. შერფი, ვიცე-კანცლერი ბ. პიტერმანი და სხვა ოფიციალური პირები. საბჭოთა მხრივ იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი,

იეთიმ-გურჯის საფლავთან

დიდი მწერლობის გვერდით ჩვენში ყოველთვის იყვნენ სახალხო მოამბენი და მომღერალნი, რომელნიც თავიანთი მიამიტური, მაგრამ წრფელი პოეტური ხმით ხალხის გულისხმიერებისა და ფიქრს გამოხატავდნენ. ბევრი იმათგანი ხალხმა შეიყვარა, ხოლო იმათი ლექსები თავის საყვარელ სიმღერებად აქცია. ასეთ სახალხო მოლექსეთა რიცხვს ეკუთვნის იეთიმ-გურჯიც, რომელიც ამ ოცდაოდე წლის წინათ მიეხარა თავისი მშობელი თბილისის მიწას.

„გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი, საქართველოს მიწა-წყალო, ალგო, თორმეტი წლის გატანული მოვედი". ასე წერდა 1913 წელს რევოლუციონერ მუშებთან ერთად გადასახლებიდან დაბრუნებული იეთიმ-გურჯი, სიყვარულის მგოსანი, რომელსაც „ცრემლის ზღვაზე სეფდის ხიდი" გაედო და ხმამაღლა ამბობდა, ქართულ ენას სულ გავლექსავ სანამ სამარეში ჩავალო.

მაგრამ ცხოვრება მძიმე ჰქონდა უბრალო ხელოსან კაცს, როგორც თავად იტყოდა, წყალში იდგა, ცეცხლი ეკიდა, კვირა დღე არ თენდებოდა იმისათვის, ყოველი დღე შაბათი იყო და ხშირად ლექსისთვის არც კი ეცალა... თუმცა თუ იტყოდა, გულის დამწვავს იტყოდა:

„იმას შვილად ვერ მივიღებ, წინაპრების აკვანს სწვავდეს, სარცხვილი იმ გუთნის დედას, თავის მამის საფლავს ხნავდეს".

იეთიმ-გურჯი 65 წლისა გარდაიცვალა 1940 წელს. მან მთელი ოცი წელიწადი იცხოვრა ახალი გზით მიმავალ თავის საყვარელ საქართველოში და როგორც შეეძლო ისე უმღერა ამ ახალ ცხოვრებას:

„სალამი ჩვენსა ქვეყანას, შვილი წითელი მზისა ვარ, სამოთხე რო შენდება მეც იმ ბაღისა ხისა ვარ, ბაყაყებს არ ვეკუთვნი, ორაგულის წყლისა ვარ".

— აი ასე გაიხსენეს გუ-

სურათზე: იეთიმ-გურჯის ბიუსტი ვაკის პანთეონში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საფრთხობელა

ფელეტონი

ხან აწუხებს დედას და
ხან აწუხებს დეიდას:
— ოღონდ გამიკეთეთ და
დაგიჯერებთ დღეიდან! —

ატრიალა შარვალი
აქედან და იქედან,
სამჯერ დაარღვევინა
ხუთჯერ გადაიკეთა.

თუ უთხარი რამე და
ყვირის: — მე ნუ მეხებით, —
დააბიჯებს ქუჩაში
წეროს ხმელი ფეხებით.

რა ქმნას, ასე უყვარს და
ძლიერ ხიბლავს „მოდები",
შეიკერა შარვალი
მოკლე, ვიწრო ტოტებით.

შეიკერა პერანგი
გადმოცმა ძნელია,
ვეღარ გამირჩევია
წითელი თუ ჭრელია!

ხოხობივით მოკაზმულს
ოფოფს უგავს ქოჩორი,
მოიარა „ვიზიტით"
კიკეთი და კოჯორი.

მინდვრად ვნახე გასული,
ყვავილები ტკონა,
დაგინახე, შეგმინდი
მოჩვენება მეგონა!

ზაფხულის ცხელ დღეებში
ინახულა სოფელი,
გააკვირვა სუყველა —
დურგალი თუ მოფერი.

ერთმა კაცმა ჩამოსულს
ძალზე დიდხანს უყურა,
მერე წაიბუტბუტა:
— ამას ჰქვია კულტურა?

კაცო, ამ ჩვენს ქალაქელს
რანაირად აცვია,
ვერ გაარჩევ ღმერთმანი,
ზებრაა თუ კაცია! —

იხლა ბევრს სჩირს ეს სენი,
ცოტას ვხვდებით უცოდველს?

ამ ფარშავანგს სოფელში
საფრთხობელა უწოდეს!

თქვენ გგონიათ ყმაწვილებს
ვემტერები ძალიან?
საფრთხობელს მაგვარნი
გოგონებიც არიან!

კ. ბოგიანოვილი.

ნახ. გ. ფირცხალავახი.

დეპუტატის ოთახი

ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოსთან გაიხსნა დეპუტატის ოთახი. აქ შემოღებულია რაიონული საბჭოს დეპუტატების ყოველდღიური მორიგეობა. გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი „დეპუტატის ხმა".

დეპუტატის ოთახში გამოკრულია ლოზუნგები, აქვეა მოთავსებული დიაგრამები, რომლებიც ასახავენ ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის შვიდწლიან გეგმას, სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარებას.

ს. კუჭავა.

თბილისის სტუმრები

თბილისს ჩამოვიდა ისლანდიის კულტურისა და ვაჭრობის მინისტრი გ. გისლასონი მეუღლითურთ, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით.

ისლანდიელი სტუმარი გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებას, მას ღირსშესანიშნაობებს. იგი მიიღო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა. შემდეგი დროს გაიმართა გულითადი საუბარი. საუბარში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ რ. ს. ელიგულაშვილმა.

1 ივლისს ნაშუადღევს ისლანდიის კულტურისა და ვაჭრობის მინისტრი გ. გისლასონი მეუღლითურთ ტაშკენტს გაფრინდა. გამგზავრების წინ ბ-ნმა გისლასონმა საქალაქოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— საქართველოს დედაქალაქში, ისევე როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, მე შევხვდი იხელ ადამიანებს, რომლებსაც სიამოვნებით შეიძლება მეგობრები ვუწოდო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თანამემამულეებს ვუამბობ, რომ ჩვენი ხალხი უყვართ და აფასებენ საბჭოთა კავშირში. ჩემს ქვეყანაში მე ვიქნები საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების მომხრეთა პირველ რიგებში.

ისლანდიელმა მინისტრმა შემდეგ აღნიშნა, რომ საქართველოს დედაქალაქში მცირე ხნით ყოფნის დროს მას საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ქალაქის მრავალფეროვან კულტურულ ცხოვრებას, ქართველი ხალხის ტიპ წარმატებებს ეროვნული კულტურის განვითარებაში.

(საქდესი).

ВИЛИС ЛАЦИСИ

ეკეკლა მარკეს კერძვეს

ოთხმოცდაათ ოჯახიანი სიჩუმე

მოთხრობა

ჩემი მეგობარი — ჟურნალისტი ალბერტ მელდერი — ახლახან დაბრუნდა უცხოეთიდან. მან ორი კვირა გაატარა ბელგიაში, შემოიარა ამ პატარა, მაგრამ გასაოცრად მოგალდეროვანი ქვეყნის ბევრი პროვინცია. ერთხელ, შაბათ საღამოს, ჩემთან თავი მოიყარეს ჩემმა მახლობელმა ადამიანებმა, და მელდერი მოგვიყვა თავისი მოგზაურობის შესახებ.

მას დაყვავებული თვალი აქვს, და ბევრი რამ საინტერესო გვიამბო. დასასრულ მელდერმა თქვა, ჩემი შთაბეჭდილებანი გაუგიათ უნდა გამოვაქვეყნოო, ამიტომ ახლა არა აქვს ამ მოკლე მოთხრობაში ნათქვამს ყველაფერი, რასაც იგი იმ საღამოს მოგვიკა. გიამბობთ ამ მოგზაურობის ეხოლოდ ერთ ეპიზოდს, რომელიც, როგორც მელდერი ამბობს, ყველაზე საინტერესო იყო და ღრმად შთაბეჭდა მეხსიერებაში.

მაგრამ სიტყვა თვით მოგზაურს მიეცეთ.

— ჩვენ უკვე შემოვიარეთ ბრაბანტი, ორივე ფლანდრია, ანტვერპენის პროვინცია და ჩავედით ლიმბურგში, — ამბობდა მელდეო. — ჩვენ გავეცანით პატიოსან, ნიჭიერ, შოთიანმოყვარე ხალხს, რომელსაც ორი მძიმე მსოფლიო ომი გადატანილა და კარგად ესმოდა, რას ნიშნავს მშვიდობა. ეცენი იყვნენ საუცხოო, გულითადი ადამიანები და ჩვენ არავითარი მიზეზი არა გვაქვს ცუდი რამ ვთქვათ ბელგიელებზე.

ეე ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენი მოგზაურობის მარშრუტით გათვალისწინებული იყო ლიმბურგის პროვინციის ნახვა. ამის მიზეზი იყო ერთი წერილი, რომელიც ერთი წლის წინ მივიღე. იგი მოწერა თორმეტი წლის გალონელმა გოგონამ ანა-მარია კურტიემ. მოგიყვებით წერილს, როგორც მახსოვს, ამიტომ სავსებით დარწმუნებული არა ვარ, რომ იგი ძალიან ზუსტი იქნება.

პატივცემულო ბატონო!

გწერთ ყოთი პატარა, უბედური გოგონა, რომელიც უკვე მრავალი წელია ლოგინად ჩავარდნილია ბოროტი და ულმობელი ავადმყოფობით. ბავშვის დამბლა მაქვს და იძულებული ვარ მთელი დღე ვიწვე ლოგინში ან ვიჯდე ინვალიდის ეტლში. ამ მძიმე ცხოვრებაში ერთადერთი სიხარული მაქვს, რომელიც ოდნავ შუქს ჰფენს დამთმენინებს ჩემს უბედურებას: მარკების კოლექციას ვაგროვებ. კარგი ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებიდან მიგზავნიან ცალკეულ საფოსტო მარკებს ან პატარა კოლექციებს, ეე მათ ვათავსებ ჩემს ალბომში. გულით მინდა გოხოვოთ,—და იმედი მაქვს, რომ მომიხვდებით და მომიტევებთ ამ ნაბიჯს, —თქვენი შეხედულებისაებრ გამომიგზავნოთ თქვენი ქვეყნის საფოსტო მარკების ერთი კოლექცია. სამუდამოდ თქვენი უაღრესად მადლობელი დავრჩები. ალბათ გიკვირთ, საიდან გიცნობთ. სულ უბრალო საქმეა. ამას წინათ ერთი ჟურნალი წავიკითხე, და იქ დაბეჭდილი იყო სტატია ლატვიაზე — იქ სტატიის ავტორი თქვენ იყავით. ამიტომაც მოგწერეთ.

იმედი მაქვს მაპატიებთ და გამოიხმაურებთ უბედური გოგონას თხოვნას, თქვენი პასუხის და პატარა საჩუქრის მოლოდინი მექნება.

ანა-მარია კურტიე.

გოგონა ცხოვრობდა ქალაქ ნ-ში, ლიმბურგის პროვინციის მთავარ ქალაქ ჰასელტიდან დაახლოებით ნახევარი საათის სავალზე. მანქანაზე დაბეჭდილმა მისმა წერილმა მეტად ამაღელვა. მე მევაგონეე ავბოთა საფოსტო მარკების პატარა კოლექცია და გასულ შემოდგომაზე გაეცანითვე. ორიოდე კვირის შემდეგ კი აღფოთოვანებული პასუხი მივიღე. წერილს დართული ჰქონდა ფოტოსურათი: ანა-მარია ხის ინვალიდის ეტლში და ხელში ჩემი ალბომი უჭირავს. იგი დიდ მადლობას მიხდიდა საჩუქრისათვის და პოხოვდა შემდეგშიც არ დამივიწყებოდა იგი.

როცა ცნობილი გახდა, რომ შეუყვანილი ვიყავი კულტურის მუშაკთა დელეგაციაში, რომელიც ბელგიაში მიდიოდა, მაშინვე მომაგონდა ბელგიელი გოგონა და ვიხრუნე საჩუქრისათვის — ახალი კოლექციისათვის.

უკვე ბრიუსელში, მოგზაურობის მარშრუტის განხილვის დროს, გავიგე, რომ ნავარაუდევია ლიმბურგის პროვინციის დათვალიერებაც. მაშინ ამბანაგეს ვუთხე ავადმყოფ გოგონაზე და ჩემს საფოსტო მარკებს ალბომიც. ყველა დამეთანხმა, რომ აუცილებლად უნდა შეგვიარო ქალაქ ნ-ში და ვინახულო ეო გოგონა.

—ეს ძალიან აღვილი იქნება, — განმარტა ჩვენი საელჩოს მდივანმა, რომელიც დელეგაციას მოგზაურობაში ახლდა. — ჰასელტში თქვენ შეგეძლებათ



ჩემმა ქმარმა მანქანაზე დაბეჭდა და ანა-მარიას მოაწერინა ხელი...

ორიოდე საათით დასცალდეთ დელეგაციას და ჩახვიდეთ ნ-ში. თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, მე გამოგყვებით...

ჩვენთან ერთად იყო ბრიუსელის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი — ცოცხალი, სიმპათიური ადამიანი, გერმანელია მიერ ოკუპაციის დროს იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, როცა მან ყური მოჰკრა საელჩოს მდივანთან ჩემს საუბარს, სურვილი გამოთქვა წამოსულიყო ჩვენთან ერთად და თავისი გაზეთის ფურცლებზე აეწერა საბჭოთა დელეგატის შეხვედრა აკადემიკოს ბელგიელ გოგონასთან.

ჰასელტში, პროვინციის გუბერნატორთან ოფიციალური ვიზიტის შემდეგ, ჩვენი ჯგუფი, რომელშიც შევდიოდით მე, საელჩოს მდივანი და ბრიუსელის გაზეთის კორესპონდენტი, წავიდა ნ-ში. შეთანხმდით ორი საათის შემდეგ შეხვედროდით დელეგაციის სხვა წევრებს, ლიმბურგის პროვინციის ხალხური ყოფა-ცხოვრების ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ეს მუზეუმი რაღაცით წააგავდა ჩვენს, რიგს ხალხური ყოფა-ცხოვრების მუზეუმს, რომელიც იუგლას ტბის ნაპირზე მდებარეობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჯერ არ არის საკმაოდ ჩამოყალიბებული.

მაისის თბილი, მზიანი დღე იყო. მეც გულში სითბო მქონდა ჩამდგარი, თუმცა მარტო იმ ფიქრით, რომ მალე შეეხვედრებოდა უცნობ გოგონას. როგორ გაუხარდება მოულოდნელი საჩუქარი, როგორ გაუხარდებათ მის მშობლებს! ერთი სიტყვით, სამივე შეგვიპყრო უჩვეულო, ოდნავ სენტიმენტალურმა განწყობილებამ და ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, მე, როგორც ამ შეხვედრის ინიციატორი.

— ოქვენი მისალა დადებითს შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებრიობაზე, — ამბობდა კორესპონდენტი. — ვიცი, რიგორ ეხმაურება ჩვენი ხალხი ასეთ რამეს. თქვენ თვითონ განსაკეთ: სტუმარი ჩამოსულია შორეული ქვეყნიდან, ყოველი საათი და წუთი გაანგაგიაოშებული აქვს, მაგრამ იპოვნა დრო იმისათვის, რომ ენახა ავადმყოფი გოგონა, გაეხარებინა იგი. რომელი ადამიანი წაიკითხავს ამას გულგრილად?

მან, ალბათ, გუნებაში უკვე შეადგინა ანაჩუყებელი ნარკვევი ამ ამბავზე, რადგან ზმირად იღებდა ბლოკნოტს და რაღაცას იწერდა. გავიარეთ სოფლები და პატარა ქალაქები, რომელთა აგურის პატარა სახლები აკრეკლებული იყო რეკლამებით, და ზოგჯერ ვერც კი გაარჩევდი, სად თავდებოდა სოფელი და სად იწყებოდა ქალაქი. გზის გაყოლებით პატარა მინდვრებზე მწვანედ ხასხასებდა ხათესები, ოხრანდა ბეჩქნარები, ფოთლოვანი ჯაგები, და კვლავ იწყებოდა ტროიანი მინდორი, ჩანდა წითელი ქვის სახლები...

ნახევარი საათის შემდეგ მივალწიეთ ნ-ს. ეს პატარა სამრეწველო ქალაქი იყო. ფაბრიკების რამდენიმე მილში კვამლი ამოდიოდა, ცენტრში აღმართული იყო ტოსტოეოის კომკი, რომელიც მთელ არმარკუს გადაჰყურებდა. ქუჩების გაყოლებით ერთსართულიანი, ოთხი შემდეგ ამენებული სახლები იდგა. დაბალი ღობეები, — ყვავილების კვლები ყოველი სახლის პარმაღთან, გულღია ადამიანები — ასე შეგეხვედა ქალაქი ნ.

ლეონოდის ქუჩა, სადაც კურტიეს ოჯახი ცხოვრობს, ადვილად ვიპოვეთ. მანქანა გაჩერდა № 34 სახლთან. ეროერთ იმ წყნელ სახლთან, რომლებიც ჩვენ უკვე აუარებელი ვნახეთ გზაში.

ეიკაბეზე შეგვხვდა საშუალო ხნის ჩაცმული ქალი, მის გამოხედვაში შიში, შეშფოთება და დაბაღული ინტერესი გამოსჭვიოდა.

საელჩოს მდივანმა თავი გააცნო დიალოგი საბჭოთა ... ...

განგაში: ვეფხვები გაღიებიდან გამოვიდნენ...

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ თქვენ გულდამშვიდებული მიემგზავრებით გემით და ერთბაშად ატყდა განგაში: მხეცები, გალიებით რომ მოგყავდათ, უცებ თავისუფალი აღმოჩნდნენ. სად უნდა დამალოთ მათ, როცა გარშემო წყალია?

ამ ზაფხულს სტუდია „ლენფილმი“ ბაბიან სტუდიის მიერ დაჭრილებულ გემ „მატროს ულეზნიკზე“, რომელიც ლენინგრადში ნევაზე დგას, და ეჩვეევიან ზღვის ვითარებას.

ვეფხვი ათია. ისინი მწვრთნელების მ. ნაზაროვასა და კ. კონსტანტინოვსკის გამგებლობაში არიან.

კ. კონსტანტინოვსკი ალერსით უსვამს ხელს მის ფეხებთან გაწოლილ ლამაზ ძუ ვეფხვს „ბაიკალიხას“ და ამბობს:

— მახსოვს, თათის დარტყმით ამან როგორ გადამაგდო ორ მეტრზე. მაგრამ მაშინ ჩვენი „ბაიკალიხა“ ახალი მოყვანილი იყო ტაიგიდან, ახლა კი დაჩკვიანდა.

ჩვენ ვეხსრებით ცალკეული ეპიზოდების რეპეტიციას. ეპიზოდებს შორის არის ასეთი: ვეფხვი დაედევნება მგზავრს, ეტაკება კარს და გაამტვრევს.

მაგრამ როგორ უნდა განაწყო ასე აგრესიულად მაძღარი, კარგ გუნებაზე მყოფი ვეფხვი, რომელმაც ესეს არის იბანავა აუზში? მწვრთნელებს აქვთ საამისო საშუალება. გემზე მოიყვანეს ცოცხალი ქათამი. საკმარისი იყო ეჩვენებინათ იგი ვეფხვებისათვის, რომ ისინი გაშმაგებულიყვნენ და ისე დაეწყოთ დადევნება, როგორც საჭიროა.

ფილმის გადაღებისათვის საჭირო იქნება მხეცების მონაწილეობასთან დაკავშირებული მეტი სიძნელის დაძლევა. ვეფხვებს გარდა სურათში გადაღებული იქნებიან ლომი, მაიმუნი და თაგვი.

ოლეგ კარიშევი.

სურათზე: მარგარიტა ნაზაროვა და ვეფხვი „ბაიკალიხა“ რეპეტიციაზე.

ტურნირი არგენტინაში

დამთავრდა ბუენოს-აირესში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეხუთე ტური. როგორც მოსალოდნელი იყო, ტაიმანოვი და კორჩნოი გადადებულ პარტიაში თამაშის განახლების გარეშე ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე კორჩნოი–რეშევსკის შეხვედრა. მეხუთე ტურში ტაიმანოვმა 38-ე სვლაზე დაამარცხა ვეიდი. უნციკერმა მოუგო ბასანს. ხოლო ბენკომ — ულმანს. სწრაფი ყაიმით დამთავრდა პაბმან–საბოსა და რეშევსკი–გლიგორიჩის შეხვედრები. ასეთივე შედეგით დამთავრდა ევანს-კორჩნოისა და ვიქსლერ-ფოგელმანის შეხვედრები. დაუთმავრებელი დარჩა ელისკაზეს-ფიშერის, ოკკოროსეტოსა და ოლაფსონ-გიმარის პარტიები. მეექვსე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები თამაშობდნენ შაგებით: კორჩნოი საერთაშორისო ოსტატ როსეტოსთან, ხოლო ტაიმანოვი — ბენკოსთან. ტურის შედეგები ასეთია: როსეტომ მოუგო კორჩნოის, გიმარმა — ევანსს, რეშევსკიმ— უეიდს. ყაიმით დამთავრდა ელისკაზეს-ოკოროსის და უნციკერ-გლიგორიჩის პარტიები.

6 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე არიან საბო, უნციკერი და ბენკო, რომელთაც 4-4 ქულა აქვთ. შემდეგ მიდიან ევანსი, ოლაფსონი, პახმანი, გლიგორიჩი და რეშევსკი. მათ სამნახევარი ქულა აქვთ თვითეულს. საბჭოთა მოჭადრაკეებმა კორჩნოიმ და ტაიმანოვმა 3-3 ქულა მოაგროვეს.

„ერთი გამარჯვების ისტორია“

გასული საუკუნის დამლევს მთელ მსოფლიოში მძვინვარებდა საშინელი ინფექციური დაავადება — მალარია, რომელიც მუსრს ავლებდა დიდსა და პატარას. მეცნიერები ცდილობდნენ ამოეხსნათ ამ დაავადების მიზეზი, ეპოვნათ მისი მოსპობის გზები, მაგრამ დიდხანს ეს შეუძლებელი იყო. მალარია ისე სწრაფად ვრცელდებოდა, იმდენ მსხვერპლს იწვევდა, რომ მასთან ბრძოლა მეცნიერული აზრისა და მატერიალური ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვდა.

ამ საშინელი დაავადების გამომწვევი მიზეზისა და მისი მკურნალობის საშუალებათა აღმოჩენაში დიდი წვლილი მიუძღვით გამოჩენილ რუს მეცნიერებს მეჩნიკოვს, რომანოვსკის, სახაროვს. დაღალავი და შეუპოვარი შრომის შემდეგ ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მალარიას იწვევს ერთუჯრედიანი პარაზიტის სისხლში შეჭრა, ხოლო ამ პარაზიტის გადამტანია კოღო „ანოფელესი“. ამ აღმოჩენის შემდეგ დაიწყო ეფექტური ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ.

მალარიისა და მასთან ბრძოლის ისტორიას ასახავს ახალი სამეცნიერო-პოპულარული ფერადი ფილმი „ერთი გამარჯვების ისტორია“, რომელიც ქრონიკულ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიამ გამოუშვა. ეს მეორე სამეცნიერო ფილმია, რომელიც ახალგაზრდა კოლექტივის შემოქმედებით გამარჯვებად ჩაითვლება.

ფილმს საფუძვლად დაედო პ. ვაინშტოკისა და ლ. ბასუხინის სცენარი. რეჟისორმა რ. ჭიაურელმა საინტერესოდ განავითარა სცენარში მოთხრობილი ისტორია, ხოლო ოპერატორმა თ. მეგრელიშვილმა ბევრი კარგი და მოფიქრებული კადრი შექმნა. ფილმის ძირითად ნაწილს შეადგენს მალარიის გამომწვევი პარაზიტის, მისი გამრავლების მიკროსკოპიული შესწავლის ჩვენება, რაც საკმაოდ ძნელად განსახორციელები ყოფილიყო, ოპერატორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. ფილმის წარმატებას ხელს უწყობს ახალგაზრდა ექიმისა და კომპოზიტორის ტ. ბაქრაძის მუსიკა. ფილმის დირექტორია რ. ჭიჭინაძე.

ქართულ სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს „ერთი გამარჯვების ისტორიას“ უჩვენებენ პარაზიტოლოგთა საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებზე, აგრეთვე მომძე სოციალისტური ქვეყნების ეკრანებზე.

მზია კობახიძე.

* * *

სურათებზე: კადრები ფილმიდან.

ევროპის თასი

რამდენიმე დღის შემდეგ პარიზისა და მარსელის სტადიონებზე დაიწყება ფეხბურთში ევროპის თასის გათამაშების ფინალური, ანუ დასკვნითი სტადია. ფეხბურთისათვის, რომელმაც მრავალგვარი შეჯიბრება იცის, ევროპის თასის გათამაშება სიახლეს წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში მალე მსოფლიოს ფეხბურთის მოყვარულებს შეეძლებათ მოულოდნელ სპატიო ნადავლის პირველ მფლობელებს.

რით იყო გამოწვეული ახალი გათამაშების გამოჩენა? ასეთი შეჯიბრების მოწყობის აზრი დაიბადა საფრანგეთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების დიდი წარმატების გამო. რატომ არ უნდა მოეწყოს მსგავსი შეჯიბრებანი ეროვნული ნაკრები გუნდებისათვის? ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირის წრეებში, რომლებიც ძალიან დიდ მიდრეკილებას არ იჩენენ სიახლეებისადმი, ასეთ კითხვას ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. გადაწყდა ახალი თასი გათამაშებულიყო იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობაზე დათანხმდებოდა ორანაკლებ 16 გუნდისა. მაგრამ სკეპტიკოსები შერცხვენილი დარჩნენ: ევროპის პირველ თასს ერთმანეთს ეცილებოდა 17 ეროვნული ნაკრები გუნდი.

ევროპის თასის გათამაშება ხდება ორ წელიწადში ერთხელ. ახლანდელი გათამაშება 1958 წლის სექტემბერში დაიწყო. გათამაშება წარმოებს თამაშიდან გასვლის სისტემით, ამასთან მოწინააღმდეგეთა თვითეული წყვილი ერთმანეთს ხვდება ორჯერ — საკუთარ და სხვის მინდორზე. ბურთების თანაბარი შეფარდების დროს ინიშნება მესამე თამაში ნეიტრალურ მინდორზე. მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ მეორე შეხვედრის დაწყების წინ შეუთანხმდნენ ერთმანეთს, რომ ბურთების თანაბარი შეფარდების შემთხვევაში მსაჯი დანიშნავს დამატებითს 30 წუთს. ოთხი ნახევარფინალისტი ერთ ადგილზე იყრის თავს და ურთიერთ შორის აწყობს შეჯიბრების დასკვნითს სტადიას.

უკანასკნელი ოთხეულის შეხვედრები შემდეგნაირად ეწყობა. ახალი კენჭისყრის შემდეგ იქმნება ორი ნახევარფინალი. ნახევარფინალებში გამარჯვებულები ერთმანეთს შორის გათამაშებენ თასს, ხოლო წაგებულები მოაწყობენ მატჩს მესამე-მეოთხე ადგილებისათვის. თავდაპირველად ვარაუდობდნენ ტურნირი გათამაშებულიყო წრიული სისტემით, მაგრამ დროისა და სახსრების ეკონომიისათვის საჭირო გახდა გათამაშების გამარტივება.

მკითხველისთვის ალბათ ცნობილი არიან ოთხეულის მონაწილეები. ესენი არიან სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და საფრანგეთის გუნდები. როგორ მოიპოვეს მათ გამარჯვება?

საბჭოთა კავშირის გუნდმა პირველმა დაიწყო ასპარეზობა ევროპის თასისათვის. 1958 წლის სექტემბერში ჩვენმა ფეხბურთელებმა ლუნინკებში მიიღეს უნგრეთის გუნდი. მაშინ ჩვენმა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით 3:1. ერთი წლის შემდეგ ბუდაპეშტში გიმართა მეორე მატჩი, რომელმაც საბჭოთა ფეხბურთელები უფრო ძნელი ამოცანის წინაშე დააყენა. უნგრელებმა ბევრად გააძლიერეს თავიანთი თამაში და რევანშის აღება სწყუროდათ. მხოლოდ მცველთა თავდადებულმა თამაშმა და იაშინის დიდმა ოსტატობამ იხსნა გუნდი მოწინააღმდეგეთა გააფთრებული შეტევისაგან. ჩვენმა ფეხბურთელებმა გაუძლეს შეტევას და ბოლოს გაიტანეს ბურთი, მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 1:0.

შემდეგ წრეში სსრ კავშირის ნაკრებს უნდა ეთამაშა ესპანეთთან, რომელმაც მანამდე დაამარცხა პოლონეთი — 4:2 და 3:0. მაგრამ მადრიდის დიქტატორის ხრიკებმა, რომელმაც ეს შეხვედრები მსხვერპლად შესწირა თავის პოლიტიკურ მიზნებს, შეუძლებელი გახადა მიმდინარე წლის ყველაზე საინტერესო მატჩების განხორციელება. ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირის თასის გათამაშების ჩამტარებელმა კომისიამ ესპანელს დამარცხება ჩაუთვალა. გარდა ამისა, ესპანელებმა დაკარგეს უფლება ჩაატარონ ესპანეთში, როგორც ეს წინათ იყო ნავარაუდევი, თასის ნახევარფინალები და ფინალი — ეს უფლება საფრანგეთს გადაეცა.

იუგოსლავიის ფეხბურთელებს მაგარი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. ამ გუნდმა ახლა მნიშვნელოვნად განაახლა თავისი შემადგენლობა. ასეთი პროცესები კი მუდამ მტკივნეულად ხდება. გარდა ამისა, იუგოსლავიის ნაკრებს ვერ მოუშორებია ძველი ცოდვა — ძალიან ტექნიკური არიან, ლამაზად თამაშობენ, მაგრამ თავდამსხმელები თითქმის არ ურტყაყნენ კარში. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ნაკლი ბევრს ახასიათებს...

იუგოსლავების პირველი მოწინააღმდეგე ბულგარელები იყვნენ. ბელგრადში მატჩმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს — 2:0. სოფიაში იუგოსლავიელმა ფეხბურთელებმა თამაში დაამთავრეს ფრედ 1:1 და შემდეგ წრეში გავიდნენ.

ამის შემდეგ იუგოსლავიელები უნდა შეხვედროდნენ პორტუგალიას. პორტუგალიელებმა ჯერ უარი თქვეს ეთამაშათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებთან, მაგრამ როცა შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა მესაბრძოლეებს დამარცხება ჩაუთვალა და გერმანიის გუნდი შემდეგ წრეში გაიყვანა, ლისაბონმა განაცხადა, გადავფიქრეთ და ვითამაშეთო. პორტუგალიამ მოიგო ორივე მატჩი — ბერლინში — 2:0, ლისაბონში — 3:2.

იუგოსლავიასთან შეხვედრა ლისაბონში პორტუგალიელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს. ეს გუნდი მაღალი ტექნიკით არ განირჩევა, მაგრამ პორტუგალიის ნაკრები ასეთ ნაკლს ანაზღაურებს გამარჯვებისადმი მისწრაფებით და ფიზიკური მომზადებით. ლისაბონის სტადიონზე იუგოსლავიელ თავდამსხმელებს ამასთანავე ინტერესოა, რომ ერთ-ერთი ბურთი თერთმეტმეტრიანი სჯარიმო დარტყმით გაიტანა ამ საქმის დიდმა ოსტატმა ჩეხოსლოვაკიის გუნდის მეკარემ სტახომ.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის გუნდი შეხვდა ლენინის ნაკრებს. პირველი მატჩი კობენჰაგენში დანიელებმა, რომლებიც სხვათა შორის იმავე შემადგენლობით გამოვლენ ოლიმპიურ ასპარეზობაზე რომში, დაამთავრეს ფრედ 2:2, მაგრამ მოწინააღმდეგის მინდორზე სასტიკად დამარცხდნენ — 1:5.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების უკანასკნელი მოწინააღმდეგე იყო რუმინეთი, რომელიც მანამდე თურქეთის გუნდთან თამაშობდა. რუმინეთ-ჩეხოსლოვაკიის მატჩი ბუქარესტში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით 2:0. რუმინელი ფეხბურთელები უხეშად თამაშობდნენ და რამდენიმე მოთამაშე დააზიანეს. კერძოდ, სერიოზული ტრავმა მიიღო მეკარე სტახომ. რამდენადაც ევროპის თასის გათამაშების წესებით მოთამაშეთა შეცვლა არ შეიძლება, სტახო, გუნდისთვის რომ არ ეღალატნა, შეხვედის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა და მატჩი ბოლომდე მიიყვანა. მაგრამ იგი დღემდე მკურნალობს ხელის მოტეხილ თითს.

მეორე მატჩი, ბრატისლავაში, ჩეხებმა ენერგიულად დაიწყეს და უკვე მე-20 წუთ-ბედი არა სწყალობდა: მეტად ძლიერი დარტყმით გაგზავნილი რამდენიმე ბურთი ძელს მოხვდა. პორტუგალიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ბელგრადელი გულშემატკივრები სერიოზულად შიშობდნენ, რომ პორტუგალიელთა ენთუზიაზმი სხვის მინდორზეც გაიმარჯვებდა. მართლაც მთელ პირველ ტაიმში ანგარიში იყო 1:1. მაგრამ შემდეგ პორტუგალიელები დაიქანცნენ და წააგეს მატჩი 1:5.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს მოუხდა სამ გუნდთან თამაში. მათი პირველივე მატჩი სენსაციური აღმოჩნდა — დუბლინში წააგეს ეირეს ნაკრებთან ანგარიშით 0:2, მაგრამ პრაღაში მასპინძლებმა ვალი გადიახდეს ორმაგად, გაიმარჯვეს 4:0. საბოლოოდ: ჩეხოსლოვაკიის გუნდი შეხვდა ლენინის ნაკრებს. პირველი მატჩი ლობენჰაგენში დანიელებმა, რომლებიც სხვათა შორის იმავე შემადგენლობით გამოვლენ ოლიმპიურ ასპარეზობაზე რომში, დაამთავრეს ფრედ 2:2, მაგრამ მოწინააღმდეგის მინდორზე სასტიკად დამარცხდნენ — 1:5.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების უკანასკნელი მოწინააღმდეგე იყო რუმინეთი, რომელიც მანამდე თურქეთის გუნდთან თამაშობდა. რუმინეთ-ჩეხოსლოვაკიის მატჩი ბუქარესტში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით 2:0. რუმინელი ფეხბურთელები უხეშად თამაშობდნენ და რამდენიმე მოთამაშე დააზიანეს. კერძოდ, სერიოზული ტრავმა მიიღო მეკარე სტახომ. რამდენადაც ევროპის თასის გათამაშების წესებით მოთამაშეთა შეცვლა არ შეიძლება, სტახო, გუნდისთვის რომ არ ეღალატნა, შეხვედის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა და მატჩი ბოლომდე მიიყვანა. მაგრამ იგი დღემდე მკურნალობს ხელის მოტეხილ თითს.

მეორე მატჩი, ბრატისლავაში, ჩეხებმა ენერგიულად დაიწყეს და უკვე მე-20 წუთისათვის ანგარიში იყო 3:0 მათ სასარგებლოდ. ჭქონდა რა ხუთი გატანილი ბურთი და იცოდა, რომ მოწინააღმდეგე უხეშად თამაშობდა, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ფაქტიურად შეწყვიტა თავდასხმა და ანგარიში 3:0 არ შეცვლილა.

ფრანგებმა თავიანთი პირველი მატჩი საბერძნეთის წრაფალმდეგ საზეიმო ვითარებაში მოაწყეს. მინდორზე იყო გუნდი, რომელმაც მსოფლიოს პირველობაში მესამე ადგილი დაიკავა და ასეთი შემადგენლობით ერთხელაც არ გამოსულა პარაზელთა წინაშე. ბერძნებმა ვერ გაუძლეს მრისხანე მოწინააღმდეგეს და წააგეს მატჩი დიდი ანგარიშით — 1:7. ათენში ფრანგებმა მეორე თუ მესამე შემადგენლობა გაგზავნეს და თამაში დაამთავრეს ფრედ 1:1.

ნახევარფინალში გასვლის უფლებას საფრანგეთს ეცილებოდა ავსტრია, რომელმაც მანამდე მოუგო ნორვეგიას — 1:0 და 5:2. „სამფერები“, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ საფრანგეთის ნაკრებ გუნდს, შედარებით ადვილად გავიდნენ ნახევარფინალში ორი გამარჯვების შემდეგ — 5:2 და 4:2. თუმცა უკანასკნელმა მატჩმა, რომელიც ვენაში მოეწყო, ფრანგებს საკმაო მღელვარება გაუცდევინა. გუნდში არ თამაშობდა ფონტენი, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ თამაშში ფეხი მოიტეხა.

ამრიგად 6 ივლისს 4 გუნდი შეხვდება ერთმანეთს ნახევარფინალურ ბრძოლებში. პარაზში თამაშობენ საფრანგეთი და იუგოსლავია. ამ მატჩზე მსაჯები ბელგიიდან იქნებიან. ამავე დღეს მარსელის მოედანზე იტალიელი მსაჯები იხმობენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს. 9 ივლისს მარსელშივე მოეწყობა მატჩი მესამე-მეოთხე ადგილისათვის, ხოლო შემდეგ დღეს — 10 ივლისს პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე გაიმართება ფინალი. ამ მატჩის მსაჯი იქნება ცნობილი ინგლისელი მსაჯი ელისი. მესამე ადგილისათვის შეხვედრის მსაჯები ჯერ კიდევ არ არიან დანიშნული. თუ ფრანგები ფინალში გავლენ, ამ თამაშს ჩაატარებს ფრანგი მსაჯი, თუ არა — მაშინ მსაჯი ალბათ ჰოლანდიელი იქნება.

ყველა გუნდში მიმდინარეობს უკანასკნელი მზადება. ფრანგები თუმცა თავიანთ მინდორზე თამაშობენ. მაგრამ არც თუ ძალიან ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ფონტენი ფეხს ირჩენს. კოპა, მათი საუკეთესო მოთამაშე, აგრეთვე კოჭლობს. თავდასხმის ცენტრად ალბათ ითამაშებს მიულერი. მოთამაშეები დაღლილი არიან მძიმე სეზონის შემდეგ და, რაც მთავარია — იუგოსლავიის ნაკრები მუდამ ძალიან საშიშ მეტოქედ ითვლება ფრანგებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ყველა ომიშემდგომ მატჩში იუგოსლავებთან ფრანგებმა მოიგეს მხოლოდ ერთხელ.

იუგოსლავები, როგორც უკვე ვთქვით, გამოდიან გაახალგაზრდავებული შემადგენლობით და ამიტომ, თავიანთი მხრივ, აშინებთ ფრანგებთან შეხვედრა. გარდა ამისა, ტრავმა არ მორჩენია გუნდის ძლიერ მოთამაშეს ზებეცს. ჩეხები ენერგიულად ემზადებიან საბჭოთა კავშირის ნაკრებთან მატჩისათვის. მართალია, მათი თავდაცვის ხაზი ნაკლებ საიმედოდ გამოიყურება, რადგან არ თამაშობს სტახო, აგრეთვე დამცველი პლუსკალი, რომელმაც ტრავმა მიიღო.

რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, მის შანსებს საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტები სხვადასხვა შეფასებას აძლევენ. ყველა აღიარებს, განსაკუთრებით პოლონეთის ნაკრებთან გამანადგურებელი მატჩის შემდეგ (7:1), რომ ჩვენი გუნდი თასის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრეტენდენტია. ამასთან ითვალისწინებენ, რომ ჩვენი გუნდის ხაზები სრულიადაც არ არის თანაბარფასოვანი. მეკარე იაშინი, რომელიც ყოველთვის გუნდის ბურჯად ითვლებოდა, უკანასკნელ შეხვედრებში ისე კარგად ვეღარ თამაშობს. დაცვაში კრუტიკოვი ზოგჯერ მეტად ძლიერია, მაგრამ მასაც აქვს ხოლმე ჩავარდნები. კეხარევი ის აღარ არის, რაც თავის უკეთეს დღეებში იყო.

ნახევარმცველები ვოინოვი და ცარიოვი აშკარად არ არიან ფორმაში. მაგრამ, როგორც ამბობენ, შესაძლოა სიურპრიზები. ყოველ შემთხვევაში, ნუ გაგიკვირდებათ, თუ საფრანგეთში ამ ორი მოთამაშის ნაცვლად სხვები გამოვლენ.

თავდასხმა გუნდის ყველაზე ძლიერი ხაზია. განსაკუთრებით გამოირჩევიან ფლანგები—შესაძლოა უძლიერესი წყვილები ევროპაში. სუსტ რგოლს წარმოადგენს ბუბუკინი, რომელიც არა მარტო თვითონ გამოდის წარუმატებლად, არამედ ვერანაირად ვერ აუწყვია „შემოქმედებითი კონტაქტი“ მესხთან. სამაგიეროდ ივანოვი და მეტრეველი ძალიან შეთანხმებულად თამაშობენ.

მღელვარებისათვის ძალიან ცოტა დრო დარჩა. ევროპის თასი მალე მოხვდება თავისი პირველი მფლობელის ხელში. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მფლობელი სსრ კავშირის ნაკრები გუნდი აღმოჩნდება!

ვ. ტაიგინი,
გ. კალი.

საფრანგეთის სტადიონებზე საბჭოთა ფეხბურთელებს არა ერთი და ორი მატჩი ჩაუტარებიათ. საფრანგეთის სპორტული პრესა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ამ ასპარეზობებისადმი და ფართოდ ეხმაურებოდა მას.

ფრანგული გაზეთიდან ამოღებულ ამ სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის მომენტს — სსრ კავშირის ნაკრების წევრის ბ. მესხის (სურათზე მარჯვნივ) ორთაბრძოლას ფრანგ ფეხბურთელთან.

სპორტი

ლიდერობს პ. კერესი

ესტონეთის საკურორტო ქალაქ პიარნუში ერთ კვირაზე მეტია გრძელდება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და საქართველოს მოწინავე მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობ ამ რესპუბლიკების 16 გროსმაისტერი, საერთაშორისო ოსტატი, ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი.

გათამაშდა 5 ტური. ლიდერია გროსმაისტერი პ. კერესი, რომელსაც 2,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ჩვენი რესპუბლიკიდან წარმატებით გამოდიან ოსტატები შიშოვი და სოროკინი, ოსტატობის კანდიდატები გამრეკელი და კიკანი.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

მეორე კვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტ.“ (მ.)	14	9	2	3	21:16	20
„ადმირალტ.“ (ლ.)	14	6	6	2	27:17	18
„სპარტაკი“ (მ.)	13	8	1	4	22:8	17
ცსკა (მ.)	14	8	1	5	24:11	17
„დინამო“ (კ.)	13	8	1	4	29:16	17
„ბელარუსი“ (მ.)	14	8	1	5	18:16	17
„შახტიორი“ (სტ.)	13	4	4	5	17:21	12
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	13	4	3	6	16:19	11
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	14	3	2	9	13:31	8
„კირ.“ (ალ.-ატ.)	14	3	2	9	8:22	8
„სპარტაკი“ (ვ.)	14	1	3	10	7:25	5

საოკეანო ტანკერი

ბათუმის ნავსადგურში ამ დღეებში პირველად შემოვიდა ტანკერი „პეკინი“. ეს ერთ-ერთი უდიდესი ტანკერია მსოფლიოში. იგი 1959 წელს ააგო ლენინგრადის ორჯონიკიძის სახელობის გემთაშენმა ქარხანამ. მისი სიგრძე 202,8 მეტრია. იგი 40 ათასი ტონა წყალწყვილაა და საათში ავითარებს 19 მილს.

ტანკერი „პეკინი“ უკვე ორჯერ იყო ეიპონიაში, სადაც გადაიტანა ნავთობპროდუქტები. ერთ რეისზე მას შეუძლია გადაიტანოს 27 ათასი ტონა ნავთობპროდუქტები. ტანკერი გადაპარებით ასრულებს ტვირთის გადაზიდვის გეგმას. პირველ რეისზე მან გეგმა 102,8 პროცენტით გაანაღდა, მეორე რეისზე კი გეგმის გადამეტებით გადაიტანა 7 ტონა ტვირთი და მიმოსვლის დრო 30 საათით შეამცირა.

ტანკერის ეკიპაჟი 60 კაცისაგან შედგება. მისი კაპიტანია ბ. ოსტაშევსკი, ხოლო კაპიტნის ერთ-ერთი მოადგილეა ბათუმელი ვახტანგ ჩხაიძე.

დ. დიასამიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გასტროლებზე სოხუმში

სოხუმი. (საკ. კორ.). 1 ივლისს სოხუმში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— უკანასკნელად ჩვენი თეატრი გასტროლებზე სოხუმში იმყოფებოდა 1951 წელს. მას შემდეგ გასული წლები თეატრის ცხოვრებაში აღსავსე იყო დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით. აფხაზეთში თეატრი ჩამოვიდა მთლიანი შემადგენლობით და ჩამოიტანა თავისი საუკეთესო დადგმები, მათ შორის ოპერები: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ალი“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“, „ქარმენი“, „წითელქუდა“, ბალეტები „ოტელო“, „ბორდა“, „დონ-კიხოტი“, „ბახჩისარაის შადრევანი“ და სხვ.

2 ივლისს თეატრის კოლექტივმა სოხუმის მაყურებელს უჩვენა ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.



ბ ა ტ ა რ ე ბ ი გატაცებით ათვალიერებენ საყვარელ ჟურნალ „დილას“ და, როგორც ხედავთ, რაღაც საინტერესოს მიაგნეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სასამართლო

ბოროტება და სასჯელი

არსად არ ივარგა ნიკოლოზ ტიმოთესძე ბანოვმა. სადაც კი იმუშავა, ყველგან ხსნიდნენ ლოთობისა და შრომის დისციპლინის უხეში დარღვევისათვის.

— კოლია, გეენაცვალე, დაანებე თავი ლოთობას. ბავშვები მაინც შეიცოდე, როდემდე უნდა გვაწამო ასე, — ხშირად უსაყვედურებდა ქმარს ნადეჟდა ბანოვა, მაგრამ ნიკოლოზი ყურად არ იღებდა მის ხვეწნას, არც ამხანაგებისა და მეზობლების დარიგებას. რასაც კი იშოვნიდა, ყველაფერს არაყში და ღვინოში ფლანგავდა. გალეშილი კი ხშირად სცემდა ცოლ-შვილს. როდესაც დასალევი ფული შემოაკლდებოდა, ცოლს ფულს ან რაიმე ნივთს წართმევდა და კვლავ ლოთობას მიჰყოფდა ხელს.

აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდა ნადეჟდა ბანოვა. ქმარი დღედაღამ ლოთობდა, ცოლ-შვილისთვის კი შინ არაფერი მოჰქონდა. პატარა ალექსანდრესა და მარინეს ხშირად კეთილი მეზობლები ეხმარებოდნენ.

სამე იქამდე მივიდა, რომ ნადეჟდა სასამართლოს წესით გასცილდა ლოთ ქმარს, მუშობა დაიწყო. ძნელი იყო მარტოხელა ქალისათვის ორი პატარა ბავშვის შენახვა, მდგომარეობის გამოსწორების იმედი მას ალიმენტს მიღებით ჰქონდა, რომელიც ნ. ბანოვს დააკისრა სასამართლომ მისი შვილების სასარგებლოდ. და აი ნადეჟდა ბანოვამ წარადგინა აღმასრულებელი ფურცელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ თბილისის ბამბის ძაფსართავ № 2 ფაბრიკის ბუხჰალტერიაში, სადაც უკანასკნელად მუშობდა ნ. ბანოვი.

იანვრის სუსხიანი დილა იყო. ნადეჟდა პატარა ალექსანდრეს აცმევდა და თანაც გაკვეთილებს ამეორებინებდა. ამ დროს კარი მხეცური ღმუილით შეგლიჯა ნ. ბანოვმა.

— მაშ შენ ალიმენტის ფული გინდა მიიღო? ან მიიღე!.. — ამის თქმა იყო, და ნ. ბანოვის ხელში დანამ იელვა. მან რამდენჯერმე ჩასცა დანა უმწეო ქალს და არ მოეშვა, სანამ დანა ტარში არ გადაუტყდა.

ნადეჟდა ბანოვა მიღებული ჭრილობებისგან იქნე გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ამას წინათ გაარჩია გამოუსწორებელი ლოთის და კაცისმკვლელის ნ. ტ. ბანოვის საქმე და მიუსაჯა მას სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

ამინდი

ხვალ და ზეგ დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლზე მდებარე რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ადგილებში მოსალოდნელია ხანმოკლე ელჭექიანი წვიმები, დანარჩენ ადგილებში — უმეტესად უნალექოდ. იქროლებს დასავლეთის სუსტი, მდინარე მტკვრის ხეობაში ზომიერი ქარი.

ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იქნება ღამით 13-18, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში — ღამით 7-12, დღისით 20-25 გრადუსი; აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში — ღამე 13-18, დღისით 26-31 გრადუსი, მთიან რაიონებში — ღამით 6-11, დღისით 18-23 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

პირველ მფლობელს ელის

კონკურსში გამარჯვებულნი

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ჩატარებულ იქნა კონკურსი, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი საუკეთესო კამერულ-ვოკალური, პროგრამულ-ინსტრუმენტალური და საესტრადო ნაწარმოებებზე.

კონკურსის ჟიურომ მეორე პრემია მიანიჭა 5 ნაწარმოებს: პიესას ვიოლონჩოსა და ფორტეპიანოსათვის **„ლხინი სოფლად